



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები

თბილისის, ქუთაისის,
ბათუმის, გორისა და თელავის
სასამართლოების
მონიტორინგის ანგარიში



მონიტორინგის ანგარიში №10
პერიოდი: 20 აგვისტო, 2016 – იანვარი, 2017

თბილისი 2017



USAID
აშერიკელი სარწმუნო

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ოჯახში ქალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ქალადობის საქმეები

(თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის
სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში)

მონიტორინგის ანგარიში №10

პერიოდი: 20 აგვისტო-იანვარი, 2016-2017

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. შეიძლება ის არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: გობა ხატიაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი
ეკატერინე ციმაკურიძე**

მონიტორინგისა და კვლევის მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საიას მონიტორებმა:

**სოფო კვინიკაძე
თამარ ბოჭორიშვილი
გიორგი ნაღირაძე
ხატია ხარატიშვილი
ანზორ ხიმშიაშვილი
ბექა თაკალანძე
გიორგი ეუაშვილი**



აინყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	5
მეთოდოლოგია	7
დაკვირვების შედეგების შეჯამება და ძირითადი ტენდენციები	8
I. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე აღკვეთის ლონისძიებებისა და სასჯელის შეფარდების ტენდენციები	10
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	10
2. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები	11
3. სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები	22
II. დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი და დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე	28
1. დანაშაულის კვალიფიკაცია	28
2. დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევა	31
III. ძალადობის მსხვერპლებისა და პროცესის სხვა მონაწილეების განცხადებები ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით	35
რეკომენდაციები	38

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) 2011 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს. აღნიშნული პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განხორციელდა. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩაერთო. 2016 წლის სექტემბრის თვეში კი, მონიტორინგი დაიწყო ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებშიც. ხუთივე ქალაქში მონიტორინგის იდენტური მეთოდები იყო გამოყენებული.

მე-9 საანგარიშო პერიოდიდან მოყოლებული, რომელიც მიმდინარეობდა 2016 წლის თებერვლიდან ამავე წლის ივლისის ჩათვლით,¹ საიამ მონიტორინგის განხორციელება დაიწყო განახლებული მეთოდოლოგიით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოწყვლადი ჯგუფების (ქალები, შშმ პირები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, ლგბტ თემის წარმომადგენლები და ა.შ.) მიმართ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფასებას გულისხმობს. მე-9 ანგარიშში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება დაეთმო ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულების საქმეებსაც.

საიამ მე-10 საანგარიშო პერიოდში (2016 წლის 20 აგვისტო - 2017 წლის იანვარი) ცალკე ანგარიშის სახით გამოყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეები და ამ საკითხებზე ინდივიდუალური, თემატური დოკუმენტი მოამზადა. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობამ ცხადყო, რომ **ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძობიარე მართლმსაჯულების განხორციელება, რაც მსხვერპლ ქალებს უქმნის ბარიერებს, მიმართონ სასამართლოს და ეფექტურად დაიცვან თავიანთი უფლებები. ხშირად სასამართლოების და პროკურატურის საქმიანობა არათანმიმდევრული და ფრაგმენტულია, რაც მსხვერპლ ქალებს მხარდაჭერის მიღმა ტოვებს და ვერ უზრუნველყოფს მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.**

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი დუბრაკა სიმონოვიჩი, რომელიც საქართველოს 2016

¹ სასამართლო მონიტორინგის მე-9 ანგარიში - <http://bit.ly/2m6TWtJ>.

წლის თებერვალს ეწვია, საუბრობს, რომ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული მიდგომები და პატრიარქალური დამოკიდებულებები პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკს ზრდის. ასევე, ძალადობის რისკებს ზრდის ქალთა დაბალი ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, ადრეული და იძულებითი ქორწინება და არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა.² მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პროკურორებსა და მოსამართლეებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების შესახებ. შესაბამისად, არ ხდება მათი გამოყენება ასეთი დანაშაულების დროს.³ ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის მასშტაბებისა და სიმძაფრის გათვალისწინებით, გაანალიზდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე სასამართლო პროცესების დროს გამოვლენილი ტენდენციები.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებზე დაყრდნობით გაანალიზოს, რამდენად ეფექტურია ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სახელმწიფოს რეაგირება, ხდება თუ არა პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და მათთვის სათანადო სასჯელის შეფარდება, რამდენად ითვალისწინებენ გენდერულ ხედვას ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები და უზრუნველყოფილია თუ არა დაზარალებულთა უსაფრთხოება.

ანგარიშს თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანია გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების ხელშეწყობა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების სრულყოფა და გაუმჯობესება.

² ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 9 ივნისი, 2016, 7.

³ ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 9 ივნისი, 2016, 26.

მათოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ინფორმაცია მიღებულია სასამართლო სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად.

მონიტორინგის პროცესში საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად ამ მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა. მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ქალთა უფლებების/გენდერული საკითხებისა და სისხლის სამართლის ანალიტიკოსის მიერ.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, ანარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. შესაბამისად, საიას დასკვნები მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში სისხლის სამართალ-წარმოების პროცესში არსებული ყველა სტადია დაფვარეთ. აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები თითოეულ საქმეზე ესწრებოდნენ ყველა სხდომას ან სხდომების უმეტეს რაოდენობას.

2016 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში საიამ ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის 132 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორის:

34 – პირველი წარდგენის სხდომა;

3 – შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვის სხდომა;

27 – წინასასამართლო სხდომა;

- 65 – არსებითი განხილვის სხდომა;
- 2 – საპროცესო შეთანხმების სხდომა;
- 1 – სააპელაციო განხილვის სხდომა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს ქალთა ძალადობის საქმეებზე და პოზიტიურ წვლილს შეიტანს ქალთა უფლებების დაცვისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

დაკვირვების შედეგების შეჯამება და ძირითადი ტენდენციები

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები, ცალკეულ შემთხვევებში, პროფესიონალურად და ადეკვატურად ახორციელებდნენ სამართალწარმოებას ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, საერთო ჯამში, მათი საქმიანობა მაინც ვერ შეფასდება, როგორც ეფექტური – არსებული დარღვევებისა და ხარვეზების სიმრავლის გამო.

- პრაქტიკაში ოჯახში ძალადობა კვლავ აღიქმება მსხვერპლისა და მოძალადის პირად საქმედ, რომელიც უფრო ლმობიერ შეფასებას იმსახურებს, ვიდრე იმავე სიმძიმის სხვა დანაშაულები;
- სასამართლოები კვლავ ხარვეზებით მოქმედებენ და ზოგჯერ ბრალდებულებს უფარდებენ დაუსაბუთებლად ლმობიერ აღკვეთის ღონისძიებებს. **წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი არასათანადო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე.** კერძოდ, შეფარდებული გირაოს 17 შემთხვევიდან 8 (47%) იყო დაუსაბუთებლად ლმობიერი ღონისძიება,⁴ რაც ვერ უზრუნველყოფს განმეორებითი ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვას;
- განსაკუთრებით საგანგაშო და შემაშფოთებელი პრაქტიკაა დამკვიდრებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით.

⁴ წინა საანგარიშო პერიოდში გამოყენებული გირაოს 10 შემთხვევიდან 2 (20%) იყო დაუსაბუთებლად ლმობიერი.

კერძოდ, დასწრებული 14 საქმიდან, მოსამართლეს არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია პატიმრობა და მხოლოდ გირაოს ან სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების დაკისრებით შემოიფარგლა;

- პროკურატურა, უმრავლეს შემთხვევაში, შესაფერისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა (რომელიც სათანადოდ უზრუნველყოფდა მსხვერპლის უსაფრთხოებას), თუმცა, ადგილი ჰქონდა გამონაკლისებსაც, როდესაც ბრალდების მხარეს ადეკვატურად არ ჰქონდა შეფასებული და გაზომილი არსებული საფრთხეები;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ არცერთ შემთხვევაში, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, დანაშაულის დაკვალიფიცირება არ მომხდარა დისკრიმინაციულ დანაშაულად (არ მომხდარა მითითება სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტზე). შესაბამისად, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარეს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივებზე ყურადღება არცერთ შემთხვევაში არ გაუმახვილებია. მიუხედავად გენდერული დისკრიმინაციის მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, პროკურორებისა და მოსამართლეების ანალიზი ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს;
- დაფიქსირდა არასრული, მსუბუქი კვალიფიკაციის ორი შემთხვევა ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეზე, რაც პროკურორის არაეფექტურ და ხარვეზიან საქმიანობაზე მიანიშნებს;
- **გამამტყუნებელი განაჩენებისა და დანაშაულის სერიოზულობის მიუხედავად, მოსამართლეებს უჭირთ მოძალადეების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.** წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, საქმეების უმრავლესობაში (21 შემთხვევაში – 72%) მოსამართლემ თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სანქციები გამოიყენა. ანალოგიური მიდგომა ჰქონდა სასამართლოს არასრულწლოვნის (16 წელს მიუღწეველი პირი) საქმეზე, რომელიც, სქესობრივი ხელშეუხებლობის დარღვევასთან ერთად, იყო ძალადობის მსხვერპლიც. მოსამართლემ, ამ შემთხვევაში, პირობითი მსჯავრი გამოიყენა;

I. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელის შეფარდების ტენდენციები

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე მიმართ განხორციელებული ძალადობა, სისტემური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე,⁵ 118-ე⁶ ან 120-ე⁷ მუხლით გათვალისწინებული შედეგი, გვაძლევს ოჯახში ძალადობის შემადგენლობას. გარდა ამისა, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით⁸ გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა განიხილება ოჯახურ დანაშაულად. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლზე მითითებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ქალზე ძალადობას აღიარებს, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმას.⁹ აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით (სტამბოლის კონვენცია), ქალებზე ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი მდგომარეობა, რამაც გამოიწვია კაცების მიერ ქალების დისკრიმინაცია, მათზე დომინირება და ქალების სრული თვითრეალიზაციისთვის ხელშეშლა.¹⁰

⁵ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

⁶ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

⁷ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

⁸ 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³-ე, 149-ე-151-ე, 160-ე, 171-ე, 253-ე, 255-ე, 255¹-ე, 381¹ და 381² მუხლები.

⁹ დეკანოსიძე, თ. ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 5, იხ: გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის, ზოგადი რეკომენდაცია, №19, 1992 წ. აზნავი №1; იხ. ასევე, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სტამბოლი, 11.05.2011, მუხლი 3(ა); Opuz v. Turkey, საჩივარი №33401/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 09.06.2009, აზნავი №200.

¹⁰ დეკანოსიძე, თ. ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 5, იხ: სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა.

სასამართლო მონიტორინგი აჩვენებს, რომ ზემოხსენებული დანაშაულების ჩადენა უმეტესად ქალების წინააღმდეგ ხდება. ეს საქმეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ოჯახური დანაშაულისა და ძალადობის ფაქტების სიმწვავისა და მასშტაბურობის გამო, რასაც, ხშირ, შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობის ან არასათანადო რეაგირების შედეგად, მათი გარდაცვალება მოჰყვა.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტიპის დანაშაულებზე სათანადო სიმძიმის აღკვეთის ღონისძიებები და სასჯელი იყოს გამოყენებული, რომლებსაც ექნება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციის დანიშნულება, მსხვერპლ ქალებს დაიცავს ახალი ძალადობისგან და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

ოჯახური დანაშაულის ან ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სხვა გარემოებებთან ერთად შეფასდეს დანაშაულის სპეციფიკა და დაზარალებულის უსაფრთხოების საკითხები, რაც, შესაძლოა, აღკვეთის ღონისძიების ან უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენების საფუძველს ქმნიდეს.

სასამართლოებს ასეთივე მიდგომა მართებთ სასჯელის დაკისრების შემთხვევაშიც, რა დროსაც უფრო მეტი ყურადღება დანაშაულის ხასიათსა და მსხვერპლის უსაფრთხოებას უნდა დაეთმოს.

2. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევაა პროკურატურისა და სასამართლოსთვის შესაბამისი სიმძიმისა და ადეკვატურობის აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა და გამოყენება, რომელიც მსხვერპლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. პროკურატურის მიდგომა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის ნაწილში ძირითადად პროპორციულია, თუმცა, ამის მიუხედავად, სასამართლოები ზოგჯერ დაუსაბუთებლად ლობიერ აღკვეთის ღონისძიებებს უფარდებენ ბრალდებულებს, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აზარალებს სამართალწარმოების ეფექტიანობას და ძალადობის მსხვერპლებს კვლავ დაუცველს ტოვებს.


მიუხედავად საქმეში არსებული საყურადღებო რისკებისა და საფრთხეებისა, მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, აქცენტს

აკეთებენ არა დაზარალებულის უსაფრთხოებაზე, არამედ ბრალდებულის დადებით თვისებებსა და მათ მიერ გაჟღერებულ მოსაზრებებზე, რომლებიც მოსამართლის ნდობას იწვევს. ასეთი მიდგომით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა განიცდის მნიშვნელოვან კრახს, კვლავ პოტენციური საფრთხე ექმნება ძალადობის მსხვერპლი ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ადგილი აქვს მათ ხელმეორე ვიქტიმიზაციას.¹¹

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დავაკვირდით 34 პირველი წარდგენის სხდომას, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებს. აქედან, სასამართლომ 12 შემთხვევაში ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა, 17 შემთხვევაში კი – გირაო. ასევე, ოთხ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოიყენეს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო ერთ შემთხვევაში ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მე-9 და ბოლო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (2016 წლის თებერვალი - 2017 წლის იანვარი).

დიაგრამა №1



¹¹ ძალადობის მსხვერპლისათვის განმეორებითი ზიანის მიყენება.

აღნიშნული 34 შემთხვევიდან, 32 შემთხვევაში ბრალდებული იყო კაცი, ხოლო 2 შემთხვევაში – ქალი. აგრეთვე, უმრავლეს შემთხვევაში (27 შემთხვევა) დაზარალებული იყო ბრალდებულის მეუღლე, ყოფილი მეუღლე ან პარტნიორი. 1 შემთხვევაში დაზარალებული იყო ბრალდებულის დედა, ხოლო 2 შემთხვევაში – ბრალდებულის და. **აღნიშნული სტატისტიკა მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ოჯახში ძალადობა არაპროპორციულად ეხება ქალებს.** აღსანიშნავია ისიც, რომ 9 შემთხვევაში პირს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა არასრულწლოვნის თანდასწრებით.

დანაშაულის ჩადენის რისკების შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულთა ასაკი 24-დან 60 წლამდე მერყეობს, მათ შორის, 79% – 30 და მეტი წლისაა. გარდა ამისა, სასამართლო პროცესებიდან გაირკვა, რომ 7 ბრალდებულს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება, ხოლო 3-ს – უმაღლესი განათლება. დანარჩენ 24 შემთხვევაში, პირის განათლების შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

სასამართლოს მიდგომები

მოსამართლეების მხრიდან ნაკლებად მკაცრი ღონისძიებების გამოყენება მოძალადის მიმართ არასათანადოდ ლმობიერი დამოკიდებულების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სასამართლოს მიერ შეფარდებული გირაოს 17 შემთხვევიდან 8 (47%) იყო დაუსაბუთებლად ლმობიერი ღონისძიება, რომელიც სათანადოდ და ადეკვატურად ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის ქცევას, დაზარალებულის უსაფრთხოებასა და დანაშაულის განმეორების პრევენციას.¹²

განსაკუთრებით საგანგაშო და შემაშფოთებელი მდგომარეობა დაფიქსირდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. მოსამართლეს არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია პატიმრობა და მხოლოდ გირაოს ან სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების დაკისრებით შემოიფარგლა. აღნიშნული კი, პრობლემის მიმართ გაუაზრებელ, ზედაპირულ და ფორმალურ მიდგომაზე მიანიშნებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ შემთხვევებში გამოყენებუ-

¹² მაგალითად, ძალადობის პრეისტორია, საქმეში არსებული შემავავებელი ორდერები, მსხვერპლისა და მოძალადის ერთობლივი თანაცხოვრების ფაქტი შეიცავს იმ რისკებს, რომლებიც პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს.

ლი გირაოების შეფარდების დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, არ გამოკვლეულა ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობები. კერძოდ, დაუსაბუთებლად ლმობიერი ღონისძიების გამოყენების 8 შემთხვევიდან, 5 (63%) შემთხვევაში ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა არ ყოფილა შესწავლილი. ასეთ დროს, ფინანსური სანქცია და გირაოს უარყოფითი შედეგები, შესაძლოა, მსხვერპლ ქალზეც გავრცელდეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული და დაზარალებული ერთად ცხოვრობენ.

სასამართლოების მიერ არასათანადო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები:

მაგალითი №1

პირს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. პროკურორის განმარტებით, ბრალდებული და დაზარალებული 2011 წელს განქორწინდნენ. გამორების მიზეზი იყო ხშირი კონფლიქტი და ორსულობის დროს მეუღლის ცემის ფაქტი. მიუხედავად ამისა, როდესაც დაზარალებული საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდა, ასევე, თავისი ავტომანქანის საჭესთან მყოფმა ყოფილმა მეუღლემ ტრანსპორტის გაჩერება მოსთხოვა. ქალიც დაემორჩილა, რის შემდეგაც, ბრალდებულმა რამდენჯერმე მუშტი ჩაარტყა სახეში და თავი დაარტყმევინა მანქანის წინა ნაწილზე. ფიზიკური ძალადობის გარდა, ბრალდებული მსხვერპლს აგინებდა და აფურთხებდა. აღნიშნული ფაქტი შეამჩნიეს მოქალაქეებმა და დაზარალებულის დასახმარებლად შემთხვევის ადგილას მივიდნენ. ამ ინიციატივის შემდეგ, ბრალდებული შეტყობინებებს უგზავნიდა დაზარალებულს და სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით ემუქრებოდა. ასევე, ემუქრებოდა, რომ საჯაროდ გააუპატიურებდა. გარდა ამისა, ბრალდების მხარემ ხაზი გაუსვა ოჯახში ძალადობის გაზრდილ რაოდენობასა და აღნიშნა ამ დანაშაულის მომეტებული საშიშროება.

დამატებით, პროკურორმა მიუთითა, რომ ძალადობა არ ყოფილა პირველი შემთხვევა და მას ადრეც ჰქონდა ადგილი, თუმცა, დაზარალებულს არ მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისთვის. აგრეთვე, ბრალდებული დაზარალებულს აკონტროლებდა და ავინროებდა. ყოფილ ცოლს აღიქვამდა, როგორც მის საკუთრებას, ნივთს. აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდ-

ნობით, ბრალდების მხარემ სასამართლოსგან პატიმრობის გამოყენება მოითხოვა, ვინაიდან, ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებული საფრთხე.

მიუხედავად პროკურორის წონადი არგუმენტებისა, სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია არ გაიზიარა და ბრალდებულს დააკისრა გირაოს გადახდა 2000 ლარის ოდენობით.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ მხედველობაში ვერ მიიღებდა წარსული ძალადობის ფაქტებს, რადგან ბრალდებული არცერთის გამო გასამართლებული არ ყოფილა. ასევე, მოსამართლემ მიიჩნია, რომ ბრალდებული არ იყო მიდრეკილი დანაშაულის ჩადენისაკენ და ქონების დაკარგვის შიში იქნებოდა შემაკავებელი ფაქტორი ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

პროკურორმა უკმაყოფილება ვერ დაფარა მოსამართლის ასეთი გადაწყვეტილების გამო და აღნიშნა: „*მივცეთ ბრალდებულს საშუალება, მოკლას დაზარალებული? მეტი რაღა უნდა ქნას? [ბრალდებულმა] კი ბატონო, მაშინ სასამართლომ და დაცვის მხარემ აიღოს პასუხისმგებლობა მომავალში მის მიერ [ბრალდებულის] განხორციელებულ ქმედებებზე.*“

მაგალითი №2

პირს ბრალი ედებაოდა მეუღლის მიმართ ჩადენილ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში. კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებული ბოლო რამდენიმე თვე სისტემატურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, აგრესიულად ექცეოდა ცოლს, ამცირებდა და მასზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებდა. დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ ბრალდებულმა თავის ცოლს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და გაშლილი ხელი დაარტყა კისრის არეში, რა დროსაც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ტკივილი. აგრეთვე, ბრალდების მხარის განმარტებით, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი ბრალდებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს. როგორც პროკურორმა აღნიშნა, მოწმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა და ძალადობას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

საყურადღებოა ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე პატრულ-ინ-პექტორების ყოფნაც არ ყოფილა საკმარისი ბრალდებულის შესაკავებლად და, პოლიციელთა თანდასწრებითაც კი, მან კვლავ სცადა ძალადობა მეუღლის მიმართ. სასამართლო პროცესიდან ისიც გაირკვა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს ერთი საცხოვრებელი ჰქონდათ. ამ ყველაფრის ფონზე, პროკურორმა სასამართლოსგან მოითხოვა პატიმრობის გამოყენება, თუმცა, სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ აღნიშნა, რომ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი, მისი პიროვნება, ბრალდებულისა და მსხვერპლის დიდი ხნის თანაცხოვრების ფაქტი და გირაო მიიჩნია ეფექტურ და ბრალდებულის ქცევის შემაკავებელ ღონისძიებად.

მაგალითი №3

პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობა-ში. კერძოდ, ბრალდებულმა საყოფაცხოვრებო კონფლიქტის დროს დაზარალებულს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სასამართლო პროცესიდან გაირკვა, რომ ძალადობის ფაქტებზე გამოცემული იყო ორი შემაკავებელი ორდერი, რაც ცოლის ჩაგვრის სისტემურ ხასიათზე მიუთითებს. ასევე, საყურადღებოა დაზარალებულის განმარტება, რომელიც მან სხდომის დაწყებამდე გააჟღერა:

„მესამედ კიდევ თუ ჩაიდენს, მე თვითონ მივატოვებ. კაცი ხომ არ მოუკლავს, რატომ იჭერთ? მთელი ცხოვრებაა ვემონები, ვერ გავიგე, რას მერჩის. ყველაფერს ვუკეთებდი. მე მოსვენება მინდა, ავადმყოფი ქალი ვარ.“

პროკურორმა პატიმრობის გამოყენება მოითხოვა, თუმცა, სასამართლომ შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით.

სხდომის დასრულების შემდეგ, ბრალდებულმა მუქარის ტონით მიმართა თავის მეუღლეს: *„ხომ გაიგე, რაც მოხდა. ხომ ხარ კმაყოფილი?“*

მაგალითი №4

პირს ბრალი ედებოდა პარტნიორი ქალის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებულმა სცემა დაზარალებულს, შემდეგ ბენზინი გადაასხა და დანვით დაემუქრა, ასევე, მსხვერპლის მანქანა ქვით დააზიანა. როგორც სასამართლო პროცესიდან გაირკვა, ძალადობა რამდენიმე დღე გრძელდებოდა. პროკურორმა მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და ყურადღება გაამახვილა ძალადობის არაერთგზის ჩადენაზე, ასევე, დაზარალებულსა და მონმეებზე ზემოქმედების საფრთხეზე. პროკურორმა დამატებით ისიც აღნიშნა, რომ ბრალდებული ნასამართლევი იყო იარაღის უკანონო ტარებისთვის.

მიუხედავად ამ საფრთხეებისა, მოსამართლემ არ გაიზიარა პროკურორის პოზიცია, მიზანშეწონილად არ მიიჩნია პატიმრობის გამოყენება და ბრალდებულს დააკისრა გირაოს გადახდა 4000 ლარის ოდენობით.

გირაოს გამოყენების გარდა, დაფიქსირდა 4 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ გირაოზე უფრო ნაკლებად მკაცრი ღონისძიება – გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება გამოიყენა. აქედან, 1 შემთხვევაში, ეს იყო დაუსაბუთებლად ღმობიერი ღონისძიება. აღნიშნული შემთხვევა გამორჩეულია იმითაც, რომ მოსამართლეს ასეთი ღონისძიების გამოყენებას კანონი უკრძალავდა. აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაული არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წელზე მეტი ვადით.¹³ მოცემულ შემთხვევაში კი, პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით.

¹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 202-ე მუხლი.

მაგალითი №5

პირს ბრალი ედება მკვლელობის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. კერძოდ, ბრალდებულმა ჩანგალი ჩაარტყა ცოლს ხელში. სასამართლო პროცესიდან გაირკვა, რომ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერიც. ასევე, პროკურორმა აღნიშნა, რომ პოლიციის ადგილზე მისვლის შემდეგაც ბრალდებული იყო აგრესიული ცოლის მიმართ. ბრალდების მხარემ მიუთითა ახალი დანაშაულის საფრთხეზეც და აღნიშნა, რომ როდესაც ბრალდებული ნასვამია, მკვლელს შეურაცხყოფას აყენებს.

ბრალდებულმა მოსამართლეს პატიება სთხოვა და პირობა დადო, რომ ძალადობას აღარ გაიმეორებდა. მან ასევე, აღნიშნა, რომ, როცა სვამდა ეჭვიანი ხდებოდა: „*ნუ გამწირავთ, ამ ერთხელ მაპატიეთ. აღარ გავიმეორებ. მე თუ მივედი ციხის კართან, დამთავრებულია ჩემი საქმე, მაშინვე მოგკვდები. შემთხვევით მოხდა. ძალით არ მინდოდა.*“

პროკურორმა პატიმრობის გამოყენება მოითხოვა, თუმცა, მოსამართლემ, სავარაუდოდ, გაიზიარა ბრალდებულის მოსაზრებები და გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება შეუფარდა. ასეთი ღონისძიების გამოყენებას კი, მოცემულ საქმეზე, კანონი არ ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის საქმეზე მონიტორინგი განვახორციელეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც, რომელიც ეხებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხილვას ბრალდების მხარის საჩივრის საფუძველზე. კერძოდ, პროკურორმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, რომელმაც ბრალდებულს შეუფარდა გირაო 15 000 ლარის ოდენობით მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. პროკურორის განმარტებით, ბრალდებულმა იძალადა ყოფილ მკვლელებზე, რის გამოც მსხვერპლი სამი დღე საავადმყოფოში იყო მოთავსებული, სერიოზული დაზიანებები ჰქონდა მიყენებული და დანაშაული სამ ეპიზოდად იყო ჩადენილი. ბრალდების მხარემ ისიც აღნიშნა, რომ ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, დაკისრებული თანხა არ იყო მისთვის შემაკავებელი მექანიზმი (ირკვეოდა, რომ ბრალდებულს ეს თანხა უკვე გადახდილი ჰქონდა). ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ბრალდებულის მხრი-

დან ფიზიკურ შეურაცხყოფას ადრეც ჰქონდა ადგილი, თუმცა, მეგობრებისა და ახლობლების რჩევით, დაზარალებული სამართალდამცველებს არ მიმართავდა. დამატებით ისიც გაირკვა, რომ მსხვერპლი 2008 წელს ცდილობდა ბრალდებულთან განქორწინებას, თუმცა, საბოლოოდ, ეს პროცესი 2014 წელს დასრულდა. მიუხედავად ამისა, ძალადობა კვლავ გრძელდებოდა. პროკურორმა გამოაქვეყნა ბრალდებულის მიერ მსხვერპლისთვის გაგზავნილი შეტყობინებაც. ბრალდებული მსხვერპლს წერდა: „შენთვის ცხოვრება დასრულდა. შენ უნდა მოკვდე და მე გაირდები, რომ მოკვდე, თან ძალიან მალე.“

ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულს ჰქონდა სანადირო თოფის და იარაღის ტარების უფლება, რაც მომეტებულ საფრთხეზე მიანიშნებდა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პროკურორმა სასამართლოსგან კვლავ პატიმრობის გამოყენება მოითხოვა.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხე არსებობდა. ასევე, ბრალდებულს მიმართა, რომ მისი ფსიქოლოგიური განწყობა ამ საქმეს უარყოფით ელფერს მატებდა. თუმცა, მოსამართლემ კვლავ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მთავარი ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ბრალდებულს შვილები კარგ სკოლაში დაჰყავდა და მატერიალურადაც უზრუნველყოფდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა პატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი. ცხადია, ის ფაქტი, რომ ბრალდებული ფინანსურად უზრუნველყოფდა საკუთარ შვილებს, ვერ გაანეიტრალდებდა მსხვერპლის მიმართ არსებულ საფრთხეს და ამ მიზეზით, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება იყო დაუსაბუთებელი.

პროკურატურის მიდგომები

პროკურატურის მიდგომებს რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა, უმრავლეს შემთხვევაში, შესაფერისი სიძიძის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა,¹⁴ ადგილი ჰქონდა

¹⁴ იმ 8 შემთხვევაში, რომლებშიც საიამ გირაოს გამოყენება მიიჩნია არასათანადო ღონისძიებად, პროკურორმა მხოლოდ ერთ შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა გირაოს შეფარდების მოთხოვნით. დანარჩენ 7 შემთხვევაში, პატიმრობის გამოყენების ინციტაციით მიმართა სასამართლოს.

გამონაკლისებსაც, როდესაც ბრალდების მხარეს ადეკვატურად არ ჰქონდა შეფასებული და გაზომილი არსებული საფრთხეები. დაფიქსირდა პროკურორის მხრიდან გირაოს მოთხოვნის ერთი შემთხვევა, რაც ვერ უზრუნველყოფდა განმეორებითი ძალადობის პრევენციას. ასეთ ვითარებაში კი, სასამართლო კანონით მოკლებულია შესაძლებლობას, უფრო მკაცრი ღონისძიება – პატიმრობა გამოიყენოს.¹⁵

მოცემული მაგალითი აღწერს ბრალდების მხარისა და სასამართლოს არაეფექტურ, ლოიალურ მიდგომებს ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის საქმეზე:

მაგალითი №6

პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული მოიყვანა სამმა პოლიციელმა. ბრალდებული იყო აგრესიული და უარს ამბობდა სასამართლო დარბაზში შესვლაზე იმ მიზეზით, რომ სხდომაზე დასწრებას აპირებდნენ საზოგადოების წარმომადგენლები. მან ასევე უარი განაცხადა დაზარალებულის დასწრებაზე. პოლიციელებმა და მანდატურებმა ვერ შეძლეს სხდომის დარბაზში მისი შეყვანა. ბრალდებული ყვიროდა და ამბობდა, რომ არ სურდა, მისი ოჯახის საქმე სხვას მოესმინა და მხოლოდ მაშინ დაესწრებოდა პროცესს, თუ ყველა დატოვებდა დარბაზს. პროტესტის ნიშნად, მან ტანსაცმლის გახდა დაიწყო. ბრალდებულმა აგრესია გამოხატა მოსამართლის თანამემხნის მიმართაც. მისი დამშვიდება სცადა დაზარალებულმაც, თუმცა, ბრალდებულმა, ამის საპასუხოდ, ფეხების ქნევა და მეუღლის გინება დაიწყო. პროკურორმა დაზარალებულს მიმართა, რაში სჭირდებოდა ასეთი ქმარი გვერდით. ბრალდების მხარემ ისიც აღნიშნა, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მამაკაცი კვლავ იძალადებდა ცოლზე.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, საიას მონიტორმა ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება, თუმცა, პროცესის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პროკურორმა ბრალდებულის მიმართ მოითხოვა გირაოს გამოყენება 2000 ლარის ოდენობით, რაც სასამართლომ კიდევ უფრო შეამცირა და ბრალდებულს 1000 ლარის გადახდა დააკისრა.

¹⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 206-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

მსხვერპლს გაუხარდა მოსამართლის ასეთი გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ბანკიდან სესხი აიღო გირაოს გადასახდელად: „რა მაგარია, დღეს შევავროვე გირაოს თანხა, დაახლოებით ვიცოდი, რამდენი შეიძლება ყოფილიყო, სესხი ავიღე ბანკში მაგის გამო. წავალ, ახლავე გადავიხდი, რომ მალე გამოუშვან.“

წინანდალში მომხდარი შემთხვევა, როდესაც მამაკაცმა ყოფილ მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა და შემდეგ თავი მოკლა¹⁶

2016 წლის 21 ნოემბერს ბრალდებული ა.ბ. დააკავეს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და დამზადება-ტარების ბრალდებით. ამავე წლის 23 ნოემბერს სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 8000 ლარის ოდენობით და პატიმრობის უზრუნველყოფით. 1-ლ დეკემბერს ბრალდებულმა გადაიხადა გირაოს თანხა და დატოვა პენიტენციური დაწესებულება. 3 დეკემბერს ბრალდებულმა ფსიქოლოგიური ძალადობა განახორციელა ყოფილ მეუღლეზე, რის საფუძველზეც, გამოიცა შემაკავებელი ორდერი. 9 დეკემბერს ბრალდებულმა მცირეწლოვანი შვილების თანდასწრებით მოკლა ყოფილი მეუღლე. იმავე საღამოს მან თავის მოკვლა სცადა. რამდენიმე დღეში მამაკაცი გარდაიცვალა.

საიამ განახორციელა პირველი წარდგენის სასამართლო სხდომის მონიტორინგი, რომელზეც განიხილეს ბრალდებულის მიერ იარაღის მართლსაწინააღმდეგო დამზადებისა და ტარების საქმეზე გირაოს გამოყენების საკითხი. ამ სხდომაზე პროკურორს არ უსაუბრია ბრალდებულსა და ყოფილ მეუღლეს შორის შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ, თუმცა, თუ ბრალდების მხარეს ჰქონდა ამის შესახებ ინფორმაცია, ეს უნდა გაეუღერებინა სასამართლო პროცესზე და უნდა გამოეყენებინა უფრო მკაცრი ღონისძიების – პატიმრობის მოთხოვნის საფუძველად.

მიუხედავად ზემოხსენებული უარყოფითი შემთხვევებისა, დაფიქსირდა სასამართლოს პოზიტიური მიდგომებიც, რაც გამოიხატა აღკვეთის სათანადო ღონისძიების შერჩევასა და მსხვერპლის მდგომარეობის გათვალისწინებაში.

¹⁶ <http://bit.ly/2lr8P9e>; [9.2.2016].

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი.

მაგალითი №7

პირს ბრალი ედება იმეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. კერძოდ, პროკურორმა აღნიშნა, რომ ბრალდებულმა ცოლს კისერში წაუჭირა ხელი, თმები მოქაჩა, ხელები გადაუგრინა და რამდენჯერმე დაარტყა, რის შედეგადაც, ქალმა მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ბრალდების მხარემ პატიმრობის გამოყენება მოითხოვა და მიუთითა, რომ არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, ვინაიდან ძალადობას სისტემური ხასიათი ჰქონდა. იმავდროულად, პროკურორმა განმარტა, რომ ქალი ცხოვრობდა ქმრის სახლში, მას მეტი საცხოვრებელი არ ჰქონდა და ამის გამო ძალადობის ფაქტების გამხელისგან თავს იკავებდა.

ბრალდებულმა სასამართლოსგან ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება ითხოვა. ასევე, მიუთითა, რომ მეუღლისათვის დაზიანებები მას არ მიუყენებია და ეს იყო შემთხვევითობა. ხოლო, მათი ოჯახური კონფლიქტის მიზეზი, ბრალდებულის განმარტებით, იყო ცოლის უყურადღებობა და მის მიმართ ცივი დამოკიდებულება.

საბოლოოდ, მოსამართლემ გაიზიარა პროკურორის არგუმენტები, ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა და აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობა არის სპეციფიკური დანაშაული და, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა დაზარალებულის ხელახალ ვიქტიმიზაციას, თუ ნაკლებად მკაცრ ღონისძიებას გამოიყენებდა. მოსამართლემ დამატებით განმარტა, რომ ოჯახში ჩადენილ დანაშაულებზე საჭირო იყო მყისიერი რეაგირება და ადეკვატური ღონისძიებების გატარება.

3. სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე უმეტესად გამამტყუნებელი განაჩენები დგება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულს, მაგრამ მოსამართლის საქმიანობა ბოლომდე ეფექტური არ არის, ვინაიდან უმეტესად ლოიალური სასჯელის დაკისრებით შემოიფარგლება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას მონიტორები დაესწრნენ არსებითი განხილვის 47 საქმეს¹⁷ და საპროცესო შეთანხმების 2 სხდომას. ამ 47 საქმიდან, 29 საქმეზე დასრულდა წარმოება. 26 შემთხვევაში მოსამართლემ გამამტყუნებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, ხოლო ერთ საქმეზე ნაწილობრივ გამამტყუნებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი დადგა.

მართალია, უმეტეს შემთხვევაში, გამამტყუნებელი განაჩენი დგება, თუმცა, პრობლემურია სასჯელის ადეკვატურობისა და ეფექტურობის საკითხი.

29 საქმიდან,¹⁸ 16 შემთხვევაში, მოძალადეს ზაზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიესაჯა, 5 შემთხვევაში გამოყენებული იყო პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულებს გამოსაცდელი ვადა დაუნესდათ. მხოლოდ 29-დან 8 შემთხვევაში მოხდა მოძალადეების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. კერძოდ, მოძალადეებს მიესაჯათ რეალური სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა პენიტენციარულ დაწესებულებაში მოხდით. **აღნიშნული 8 შემთხვევის ანალიზიდან გამომდინარე ირკვევა, რომ, ძირითადად, რეალური სასჯელის გამოყენება მოხდა ისეთ დანაშაულებზე, როდესაც ძალადობას სისტემური ხასიათი ჰქონდა და პირი რამდენჯერმე იყო მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.**

თუმცა, საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ საქმეში არსებული მაღალი საფრთხეებისა და ქალის მიმართ არაერთხელ განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, სასამართლომ პირობითი მსჯავრი გამოიყენა და მოძალადის საზოგადოებისაგან იზოლირება არ მოახდინა. კერძოდ, პირს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ არაერთგზის ჩადენილ ძალადობაში. პროკურორის განმარტებით, ამ ფაქტამდე, მოძალადეს ყოფილი მეუღლე ორჯერ ჰყავდა ნაცემი, რის გამოც ზაზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიესაჯა. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოძალადე ხასიათდებოდა დადებითად, მტკიცებულებები ცნო უდავოდ, ინანიებდა თავის ქმედებას და საზოგადოებისაგან მისი იზოლაციის აუცილებლობას ვერ ხედავდა.

საინტერესოა, რომ ოჯახური დანაშაულის საქმეზე გამართული 27 წინასასამართლო სხდომიდან, ბრალდებულს 17 (63%) შემთხ-

¹⁷ 47 საქმეზე გაიმართა არსებითი განხილვის 65 სხდომა.

¹⁸ აღნიშნულ საქმეებში შედის საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დაკისრებული სასჯელებიც.

ვევაში პროკურატურის მტკიცებულებები სადავოდ არ გაუხდია¹⁹ და დანაშაულის ჩადენა აღიარა, 8 (30%) შემთხვევაში სადავოდ გახადა, ხოლო 2 (7%) შემთხვევაში – ნანილობრივ.

რამდენიმე საქმეში მოსამართლემ არ გამოიყენა რეალური სასჯელი და ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების უდავოდ ცნობა. შესაბამისად, სავარაუდოდ, მტკიცებულებების უდავოდ ცნობის ფაქტი სასჯელის დაკისრების დროს ერთ-ერთ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევა სასამართლოს მიერ.

სასამართლო მონიტორინგის მე-9 ანგარიშში (მონიტორინგი მიმდინარეობდა 2016 წლის თებერვლიდან ამავე წლის ივლისის ჩათვლით) საიამ ყურადღება გამამახვილა ქალზე ძალადობის შემთხვევაზე, სადაც დანაშაულის სწორ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები რჩებოდა. ამ საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ საქმეზე დადგა ნანილობრივ გამამტყუნებელი და ნანილობრივ – გამამართლებელი განაჩენი. მოსამართლემ მოძალადე გამამართლა თავისუფლების უკანონო აღკვეთის ნანილში, თუმცა, უარყოფითად შეაფასა ძალადობისა და მუქარის ფაქტები და გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მიიღო. საბოლოოდ, მოძალადეს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია წინა საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი შემთხვევა.

მაგალითი №8

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, საია დააკვირდა როგორც პირველი წარდგენის, ისე წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებს.

პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა განაცხადა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის მოხდა კონფლიქტი, რის გამოც, ამ უკანასკნელმა პატრული გამოიძახა. მოგვიანებით, დაზარალებულმა კარის საკეტიც კი გამოცვალა, თუმცა, ამან

¹⁹ დაცვის მხარემ მტკიცებულებების საჯაროდ და ზეპირად გამოკვლევაზე უარი თქვა.

შედეგივერგამოიღო. ბრალდებული მიდიოდა დაზარალებულის სახლში და კარის გაღებას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. პატრული ამ ფაქტთან დაკავშირებითაც იყო გამოძახებული. ბრალდებულის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც აეკრძალა დაზარალებულთან მიახლოება. მიუხედავად ამისა, ბრალდებული მაინც მივიდა დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში, ელექტროდამაგრძელების გამოყენებით ხელები ზურგსუკან შეუკრა და სანოლზე დააგდო, შემდეგ კი, ოთახში გაზი გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული სთხოვდა გათავისუფლებას, ბრალდებული ეუბნებოდა, რომ იგი სიკვდილს იმსახურებდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა კარის საკეტი მოშალა, რომ დაზარალებულს ვერ გაეღო, წაართვა ტელეფონი და გვერდით ოთახში გავიდა. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში დაზარალებული გადაადგილებას ვერ ახერხებდა, თუმცა, მოგვიანებით, შეძლო ხელების გათავისუფლება, ისარგებლა მეუღლის უყურადღებობით, კარის მოშლილი საკეტი გააღო და მეზობლებს დასახმარებლად დაუძახა. ბრალდებული კვლავ ემუქრებოდა დაზარალებულს, ამჯერად უკვე დანის გამოყენებით. დაზარალებულმა მოასწრო პატრულში დარეკვა, თუმცა, ბრალდებულმა აიძულა, ხელმეორედ დაერეკა და გამოძახება გაუქმებინა. დაზარალებულიც დაემორჩილა. პატრული მაინც მოვიდა, თუმცა, ბრალდებულმა უთხრა, რომ გამოძახება გაუქმებული იყო. დაზარალებულმა პატრულს დახმარება სთხოვა და განუმარტა, რომ გამოძახების გაუქმება მეუღლემ აიძულა. ბრალდებული დააკავეს. ბრალდების მხარემ ისიც განმარტა, რომ ბრალდებულისგან დამოუკიდებელი მიზეზები რომ არა, იგი დაზარალებულს მოკლავდა.

წინასასამართლო სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ბრალდებულისათვის შეფარდებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, მოსამართლემ განაცხადა: „*მან [ბრალდებულმა] ელექტროსადენით შეუკრა დაზარალებულს ხელები, მერე გაზით სცადა მისი გაგუღვა.*“

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, როგორც შესავალ, ისე დასკვნით სიტყვაში, ბრალდების მხარემ ზემოაღნიშნული ინფორმაცია გააჟღერა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ბრალდებულს ბრალი ედებოდა სამი მუხლის დარღვევაში: თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლის


ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, მუქარა და იძულება.

აღსანიშნავია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა მკვლელობის მცდელობას, რასაც გვაფიქრებინებს თავად ბრალდებულის ქცევა, რომელმაც ხელეზგაკოჭილი დაზარალებული დატოვა სანოლზე, გაზი გაუშვა ოთახში, ტელეფონი წაართვა მსხვერპლს და კარის საკეტი მოშალა, რათა დაზარალებულს გარეთ ვერ გაეღწია. ეს ყველაფერი კი მიუთითებს მკვლელობის განზრახვასა და ამ მოტივით განხორციელებულ საქმიანობაზე.

მართალია, სასჯელის შეფარდებისა და მიღებული გად-
ანყვეტილებების შინაარსობრივი მხარის შესწავლა ამ კვლევის
ფარგლებს მიღმაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ, უმეტეს შემთხვევაში
(72%), ლმობიერი და ნაკლებად მკაცრი სანქციები გამოიყენება,
ბადებს კითხვის ნიშნებს ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მი-
მართ ძალადობის საქმეებზე არაადეკვატურ მიდგომასა და მსხ-
ვერპლის მიერ განცდილი ტანჯვის არასათანადო შეფასებასთან
დაკავშირებით.

დიაგრამაზე მოცემულია მე-9 და ბოლო საანგარიშო პერიოდის
განმავლობაში სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელების
პროცენტული მაჩვენებელი.

დიაგრამა №2



სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველთან

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი საქმე ეხებოდა სრულწლოვანი პირის მიერ სქესობრივი კავშირის დამყარებას არასრულწლოვანთან. დაზარალებული, იმავდროულად, იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლიც. კერძოდ, მოძალადემ რამდენჯერმე ხელი გაართყა სახეში. დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდებულმა არ იცოდა, რომ 16 წელს მიუღწეველთან ოჯახის შექმნა დასჯადი იყო. იქვე აღნიშნა, რომ დაზარალებულს პრეტენზია არ ჰქონდა და სასამართლოს ღმობიერი სანქციების გამოყენება სთხოვა.

მოსამართლემ, სავარაუდოდ, გაითვალისწინა დაცვის მხარის მოსაზრებები და მოძალადის მიმართ პირობითი მსჯავრი გამოიყენა (1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად და დაუნესდა 2 წლიანი გამოსაცდელი ვადა).²⁰

²⁰ პირს სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 2011 წელს, რომელიც ისჯებოდა 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს.

II. დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი და დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე

1. დანაშაულის კვალიფიკაცია

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია რეალურად შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის პირობებში შეუძლებელია გენდერულად სენსიტიური სისხლის სამართლის სისტემის არსებობა, სადაც ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიერ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სათანადო აღიარება, კვალიფიკაცია და დასჯა ხორციელდება.²¹

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო და ბრალდების ორგანოების პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის მოქმედი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს უფლება არ აქვს, ქმედება წარდგენილი ბრალდებიდან უფრო მძიმე ბრალდებაზე გადააკვალიფიციროს. მოსამართლეს კვალიფიკაციის შეცვლა შეუძლია მხოლოდ იმავე ხარისხის ან უფრო მსუბუქი ბრალდებით.²²

მონიტორინგის შედეგები დანაშაულის კვალიფიკაციასთან მიმართებით

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ქალთა მიმართ ძალადობის არცერთ საქმეზე დანაშაულის დაკვალიფიცირება არ მომხდარა დისკრიმინაციულ დანაშაულად (არ მომხდარა მითითება სსკ-ის 53-ე მუხლის 3¹ მუხლზე). შესაბამისად, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები არ აღიარებენ, რომ ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობრივი დანაშაულები არის გენდერული დისკრიმინაციის შედეგი. ასევე, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დანაშაულის არასწორ კვალიფიკაციაზე გაამახვილა ყურადღება (მოსამართლემ განმარტა, რომ დანაშაულის დაკვალიფიცირება არ მომხდარა მისი სიმძიმის შესაბამისად) და პროკურორს უსაყვედურა იმის გამო, რომ ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული უფრო ლოიალურად შეაფასა.

²¹ დეკანოზიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35-36.

²² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 273-ე მუხლი.

**ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:
მაგალითი №9**

პირს ბრალად ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ ჩადენილი ძალადობა. პროკურორმა განმარტა, რომ ბრალდებული მეუღლესთან განქორწინებულია, თუმცა, ამის მიუხედავად, მას მაინც ჰქონდა კომუნიკაცია ყოფილ ცოლთან. ბრალდებულმა დაზარალებული შეხვედრაზე დაიბარა, რა დროსაც ისინი შეკამათდნენ და, ეჭვიანობის ნიადაგზე, ბრალდებულმა ყოფილ მეუღლეს რამდენჯერმე დაარტყა. კონფლიქტი მეორე დღესაც გაგრძელდა. ბრალდებულმა დაზარალებულს მობილური ტელეფონი წაართვა, ფეხსაცმელები გადაუყარა და კარი ჩაუკეტა. მეზობელმა პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ქალი ნაცემი დახვდათ. მას ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება დაუდგინდა. დამატებით ისიც გაირკვა, რომ მოძალადეს მსხვერპლი რამდენიმე წუთი ჩაკეტილი ჰყავდა ოთახში, რა დროსაც ქალი მოკლებული იყო თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას. ამ ყველაფრის ფონზე, მომხდარი შემთხვევა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მუხლით (სსკ-ის 126¹ მუხლის 1-ლი ნაწილი) იყო შეფასებული.

მოსამართლემ ეჭვი შეიტანა კვალიფიკაციის სისრულეში და აღნიშნა, რომ, ოჯახში ძალადობასთან ერთად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის ან, მინიმუმ, იძულების კვალიფიკაციაც უნდა ყოფილიყო. მისი [მოსამართლის] განმარტებით, მოძალადემ მსხვერპლი იძულებით დატოვა სახლში და ბრალდებას ეს ყველაფერი უფრო მკაცრად უნდა შეეფასებინა. მოსამართლე: „ამას განაჩენშიც ავსახავ, რომ არ იყო სწორი კვალიფიკაცია. ჩავთვალოთ, რომ გავიმართლათ [ბრალდებულს მიმართა], საქმის ფაქტობრივი ვარემოებები უფრო მკაცრი კვალიფიკაციის შესაძლებლობასაც იძლეოდა.“

პროკურორი არ დაეთანხმა მოსამართლის ასეთ შეფასებას და განმარტა, რომ: „იმ მომენტში ასე მიიჩნია ბრალდების მხარემ.“

აგრეთვე, გამოვლინდა ერთი შემთხვევა, სადაც დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. **დანაშაულის არაზუსტ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გონივრული იქვეები, საბოლოოდ, 2 შემთხვევაში გაჩნდა.**

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

მაგალითი №10

ოჯახში ძალადობის საქმეზე, არსებითი განხილვის სხდომაზე, პროკურორმა ისაუბრა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, სადაც აღნიშნა, რომ ბრალდებულმა თავის მცირეწლოვან შვილზე, მეუღლესა და დედაზე იძალადა. კერძოდ, შვილს ერთხელ გაართყა ხელი, ხოლო მეუღლესა და დედას – რამდენჯერმე. შედეგად, მათ განიცადეს ფიზიკური ტკივილი. თუმცა, პირის ქმედება შეფასებული იყო სსკ-ის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას ორი ან მეტი პირის მიმართ და არასრულწლოვნის თანდასწრებით. **აღნიშნული კვალიფიკაცია არ მოიცავდა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს.**

მოსამართლე დაინტერესდა, რამდენი დაზარალებული ფიგურირებდა საქმეში, რაზეც ბრალდების მხარემ უპასუხა, რომ ორი მსხვერპლი არსებობდა, ხოლო მცირეწლოვანი შვილი მხოლოდ ბრალდების კონტექსტში ჰყავდათ მოხსენიებული, ვინაიდან, პროკურორის განმარტებით, ვერ დადგინდა, არასრულწლოვანმა ფიზიკური ტკივილი განიცადა თუ არა.

2. დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევა

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ქალზე ძალადობის შემთხვევას, გამოძიება უნდა დაინყოს იმ გადმოსახედიდან, ხომ არ მოხდა დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით.²³ გამოძიების წარმოებისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის არსებობის შემთხვევაში, ვალდებული არიან, მიუთითონ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ პუნქტზე, რაც დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის ჩადენას გულისხმობს.²⁴

გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის მოტივის გამოკვლევას პრევენციული დატვირთვაც გააჩნია. დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა ხშირად დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა. მოტივი და მიზანი საშუალებას იძლევა, დავახასიათოთ დამნაშავეს ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის. ასევე, გამოვავლინოთ დანაშაულის ჩადენის მიზეზები და გავზომოთ დამნაშავეს საზოგადოებრივი სამიშროების ხარისხი.²⁵ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. ასეთი მოთხოვნა ლოგიკურიცაა, ვინაიდან სწორი კვალიფიკაცია და სასჯელის მიზნების მიღწევა, შეუძლებელია ჩადენილი დანაშაულის მიზეზების ან დამნაშავეს ფსიქოლოგიური მდგომარეობის ახსნის გარეშე.²⁶

იმავდროულად, საქმეში არსებული ძირითადი მოტივის არსებობა, თუნდაც ეს იყოს დაკავშირებული სხვა შინაარსის პირად

²³ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში UN Doc. A/HRC/23/49 (14 მაისი, 2013 წელი), §73; ასევე, IACtHR, Case of Gonzalez et al. (“Cotton Field”) v. Mexico, 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, §455; იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 18-19. ასევე, იხ: ვერობის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, 11.05.2011, სტამბოლი, მუხლი: 3 (ა); იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35.

²⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მითითება №47, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

²⁵ დვალიძე, ი., „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3, თბ. 270.

²⁶ დვალიძე, ი., „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-2-3, თბ., 270.

კონფლიქტთან, არ არის საკმარისი საფუძველი დამატებით სხვა მოტივის არსებობაზე ეჭვის გასაქარწყლებლად. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შერეული მოტივის არსებობის გამოკვლევას, რათა არ გამოირიცხოს საქმეში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევის შესაძლებლობა.

მონიტორინგის შედეგები დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთასთან დაკავშირებით

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისათვის გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოკვლევა და შეფასება მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ, რიგ შემთხვევებში, იკვეთებოდა ნიშნები, რომელთა საფუძველზეც უნდა გამოკვლეულიყო, დანაშაულის ჩადენა მოტივირებული იყო თუ არა გენდერული უთანასწორობით, ქალის გენდერულ როლზე არსებული შეხედულებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებით. თუმცა, ასეთ ფაქტებზე ბრალდების მხარესა და სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

ზემოხსენებულ ნიშნებზე მიუთითებს, მაგალითად, ბრალდებულის განმარტება, რომ მსხვერპლს [ყოფილ მეუღლეს] არ უნდა ჩაედინა ისეთი ქმედება, როგორც ცოლს არ შეეფერებოდა. ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა იეჭვიანა თავის მეუღლეზე, რაც, სავარაუდოდ, გახდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მიზეზი (მეუღლეს სცემა, თვალში თითი ჩაარტყა და წაქცეულ მსხვერპლს მოკვლით ემუქრებოდა). შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მოძალადემ ყოფილი მეუღლის სოციალურ გვერდზე ნახა სურათები, რაზეც გალიზიანდა და ძალადობა განახორციელა. აგრეთვე, გამოიკვეთა პარტნიორი ქალის მიმართ მამაკაცის მესაკუთრული დამოკიდებულება და მისი ქცევის გაკონტროლების სურვილი („შეიძლება შემდეგ უარესი დაგემართოს, თუ ჭკვიანად არ იქნები“).

თუმცა, მიუხედავად გენდერული დისკრიმინაციული მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების განმარტებები ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს.

ტრანსგენდერი ქალის – ზიზი შეყილაძის საქმე

მართალია, ამ საქმეზე არსებითი განხილვა და გადანყვეტილების მიღება მოხდა 2017 წლის 3 თებერვალს, რაც არ ხვდება საანგარიშო პერიოდში, თუმცა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და მომხდარი შემთხვევის სპეციფიკურობის გამო, მნიშვნელოვანია საქმის სათანადოდ შეფასება. ეს საქმე იმითაც არის საინტერესო, რომ სასამართლო პროცესზე დანაშაულის ჩადენის შესაძლო მოტივზე მსჯელობა არ ყოფილა და ბრალდების მხარეს ამ საკითხებზე ყურადღება სათანადოდ არ გაუმახვილებია. დიდი იმის ალბათობა, რომ აღნიშნული დანაშაული ჩადენილი იყო სიძულვილის მოტივით, ვინაიდან მსხვერპლი მარგინალიზებულ და ჩაგრულ ჯგუფს ეკუთვნოდა. ასეთ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, სამართალწარმოება განახორციელოს სპეციფიკურ კონტექსტში. თუმცა, მიუხედავად ამისა, **სავარაუდო ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი, როგორც დამამძიმებელი გარემოება, პროცესზე სათანადოდ არ გამოკვლეულა.**

მაგალითი №11

2017 წლის 3 თებერვალს ტრანსგენდერი ქალის, ზიზი შეყილაძის განზრახ მკვლელობის საქმეზე არსებითი განხილვის სხდომა ჩატარდა, სადაც მხარეებმა წარმოადგინეს შესავალი და დასკვნითი სიტყვები, რის შემდეგაც მოსამართლემ მიიღო გადანყვეტილება.

პროკურორმა შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ 2016 წლის 14 ოქტომბერს ბრალდებული მივიდა ზიზი შეყილაძესთან, რომელსაც იცნობდა 2011 წლიდან. შეხვედრისას შეყილაძე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში. ბრალდებულმა და მსხვერპლმა ერთად გააგრძელეს დაღევა. მათ შორის მოხდა შელაპარაკება, რა დროსაც ბრალდებულმა შეყილაძეს ჩაარტყა ბეტონის ფილა და ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. ამის შემდეგ ის შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. რამდენიმე დღეში ზიზი შეყილაძე მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

დაცვის მხარემ უარი თქვა შესავალი სიტყვის წარმოთქმაზე. ამის შემდეგ, პროკურორმა დასკვნითი სიტყვით მიმართა სასამართლოს, რა დროსაც ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე.

დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა დაცვის მხარემაც. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ბრალდებული იყო მშრომელი ადამიანი. აგრეთვე, მიუთითა, რომ ბრალდებულმა გადაწყვიტა, ზიზი შეეყილაძე ენახა მასთან გასაუბრების მიზნით. შეხვედრის დროს, გარდაცვლილმა უხეშად მოიხსენია ბრალდებულის მეგობარი ქალი და სასქესო ორგანოს დემონსტრირება მოახდინა. ადვოკატის თქმით, სწორედ შეეყილაძის ამ ქმედებამ გააღიზიანა ბრალდებული. დაცვის მხარემ განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციას, ვინაიდან ბრალდებულს მკვლელობის მოტივი არ ჰქონდა და დანაშაული ჩაიდინა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე. აქედან გამომდინარე, მოსამართლეს კვალიფიკაციის შეცვლა სთხოვა და სსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა.²⁷

ამასთან დაკავშირებით პროკურორმა აღნიშნა, რომ დანაშაულის მოტივის გამოსაკვეთად დაიკითხა ბევრი ადამიანი, თუმცა, ბრალდების მხარეს დამატებით არ გაუკეთებია განმარტება, თუ რა სახის მოტივის არსებობა დადგინდა საქმეში.

ბოლოს, ბრალდებულმა განაცხადა, რომ შეეყილაძის მოკვლა არ უნდოდა და რომ არა მისი მხრიდან შეურაცხმყოფელი საქციელი, მას არ მოკლავდა.

მოსამართლემ ბრალდებული დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის ჩადენაში და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

²⁷ განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ისჯება თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით ან ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

III. ქალაქის მსხვერპლისა და პროცესის სხვა მონაწილეების განცხადებები ოჯახში ქალაქის დანაშაულებთან დაკავშირებით

ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ იდენტიფიცირებადი ხდება დაზარალებულებისა თუ პროცესის სხვა მონაწილეების (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი და ა.შ.) დამოკიდებულება აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით. მათი განმარტებებიდან, განსაკუთრებით პროცესის მონაწილეების მხრიდან, იკვეთება ლოიალური და შემწყნარებლური დამოკიდებულება ამ დანაშაულების მიმართ. აღნიშნული მიდგომები კი, შესაძლოა, ახალისებდეს ოჯახში ძალადობის ჩადენას, ხელს უშლიდეს ქალებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში და მოძალადის მხარდამჭერი ეფექტი ჰქონდეს. აგრეთვე, ოჯახში ძალადობა პრაქტიკაში კვლავ აღიქმება მსხვერპლისა და მოძალადის პირად საქმედ, რაც უფრო ლმობიერ შეფასებას იმსახურებს, ვიდრე იმავე სიძიძის სხვა დანაშაულები.

მაგალითი №12

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე ადვოკატმა შესავალი სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე პირის პასუხისგებაში მიცემა არ უნდა ხდებოდეს: „ოჯახი ისეთი რამ არის, რა კონფლიქტიც არ უნდა მოხდეს, ის სახლის კედლებს არ უნდა გასცდეს. არ არის აუცილებელი მსგავსი მკაცრი მიდგომა პროკურატურის მხრიდან აღნიშნულ დანაშაულებზე.“

მაგალითი №13

ძალადობის კიდევ ერთ საქმეზე ირკვეოდა, რომ ბრალდებულის ფეხის დარტყმით გაუსწორდა მეუღლეს, ქამრით სცემა და ტაფის თავსახური გადაამტვრია. ასევე, კედელთან მიაყენა და ახრჩობდა. ამ ფაქტს შეესწრო მათი შვილი, რომელიც დედას გადაეფარა. აგრეთვე, ბრალდებულმა პატრულ-ინსპექტორის თანდასწრებით დაზარალებულს უთხრა, რომ [ციხიდან] გამოსვლის მერე მოკლავდა.

ამის მიუხედავად, ადვოკატი ამტკიცებდა, რომ შეიძლება ქმარმა ხელი გაართყას [ცოლს], მაგრამ ეს ფაქტები არ ხმაურდება. პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მამა სახლში მივიდეს და

ბავშვებს მშობლები გვერდით ჰყავდეს. დამატებით, განაცხადა [ადვოკატმა], რომ აღნიშნული არ არის მძიმე დანაშაული. აგრეთვე, მიუთითა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს უყვართ ერთმანეთი და მათ ერთად ყოფნას წინ ვერავინ დაუდგებოდა. ადვოკატმა ისიც აღნიშნა, რომ: „ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა მათი პირადი ურთიერთობაა“.

მაგალითი №14

პირს ბრალი ედებოდა შვილის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. თუმცა, მოძალადე მის მიერ ჩადენილ ქმედებას დანაშაულად არ აღიქვამდა. „ვისი რა საქმეა ჩემს შვილს ვცემ თუ არა. რასაც მინდა, იმას ვიზამ.“

ასევე, ბრალდებული აგრესიულად იყო განწყობილი დაზარალებულის მიმართ და საყვედურობდა, რომ გამოძიების დანყება მისი მიზეზით მოხდა.

კიდევ ერთ საქმეში პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვანი შვილების მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ, როგორც მამას, მას აქვს უფლება, აღზრდის მიზნით, სცემოს შვილებს. ასევე, არ იცოდა, ეს ქმედება კანონით ისჯებოდა თუ არა.

აგრეთვე, სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, ძალადობის მსხვერპლებს აქვთ უკიდურესად ლმობიერი დამოკიდებულება მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით. ისინი იძულებულნი არიან, ითმინონ ძალადობა საზოგადოების მხრიდან გაკიცხვისგან თავის არიდების, დამნაშავეზე ეკონომიკური დამოკიდებულების, შურისძიების შიშის ან სხვა ფაქტორის გამო. აღნიშნული მიზეზით, ძალადობის მსხვერპლები ცვლიან საკუთარ პოზიციებს, ან საერთოდ უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე და პრეტენზია აღარ გააჩნიათ მოძალადეების მიმართ. ეს გარკვეულ დარბოკოლებებს უქმნის ბრალდების მხარესა და სასამართლოს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო მოძალადეების მიმართ უფრო ლმობიერი და შეღავათიანი პირობები უნდა იყოს გამოყენებული. დაზარალებულთან შერიგების კრიტერიუმის გათვალისწინება შეუძლებელია ოჯახური დანაშაულის საქმეებზე.²⁸

²⁸ დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 49.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები:

მაგალითი №15

პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვნის თანდასწრებით მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. მოსამართლემ დაზარალებულს პოზიციის დაფიქსირება სთხოვა. მსხვერპლმა განაცხადა, რომ ეკონომიკურად დამოკიდებული იყო მოძალადეზე და არ უნდოდა ქმრის დასჯა.

„რაც შეუძლია, თავისი შრომით, ყველაფერს აკეთებს და არაფერს გვაკლებს. ის არის ჩემი მარჩენალი, მასზე ვართ დამოკიდებულნი მე და ჩემი შვილები, მის გარეშე ცხოვრების გავრძელების იმედი არ მაქვს, ის გვარჩენს ყველას. მე არ ვაპირებ ოჯახის დანგრევას და არც არასდროს მიფიქრია ეგ. აპატიეთ და შელავათები გამოიყენეთ მის მიმართ.“

მაგალითი №16

კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა ცოლის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, დაცვის მხარემ წარმოადგინა განცხადება, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ დაზარალებულს აღარ ჰქონდა პრეტენზია მოძალადის მიმართ და მასთან შერიგებას აპირებდა. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ადვოკატმა მოითხოვა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება. პროკურორის თქმით, განცხადების დაწერა განპირობებული იყო იმით, რომ მსხვერპლს მოძალადის ეშინოდა.

ბრალდების მხარის ეჭვები გაამყარა შემდეგმა გარემოებამაც: სხდომის დარბაზში მყოფმა დაზარალებულმა ერთ-ერთ პირთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს განცხადება მას ზემოქმედების ქვეშ ჰქონდა დაწერილი და არ სურდა მეუღლის სახლში დაბრუნება, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, თავის აზრს საჯაროდ ვერ აფიქსირებდა.

რეკომენდაციები:

წინა საანგარიშო პერიოდებისა და ბოლო დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საერთო სასამართლოებს

- ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს გენდერული ხედვით: სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი ტიპის დანაშაულების სპეციფიკურობა, ადეკვატურად შეაფასოს საფრთხეები, რომლებიც მომდინარეობს ბრალდებულისგან და გამოიყენოს შესაბამისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიებები;
- თუ პირველი წარდგენის სხდომაზე არსებობს იმის ნიშნები, რომ შესაძლოა დანაშაული ჩადენილი იყო დისკრიმინაციული ნიშნით, მოსამართლემ აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრის დროს;
- სასამართლოებმა, ყველა შესაძლო შემთხვევაში, სათანადო სიმძიმის სასჯელები უნდა გამოიყენონ ბრალდებულების მიმართ, რაც ეფექტურად იმოქმედებს განმეორებითი ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოებას;
- მოსამართლეებმა სათანადოდ უნდა შეაფასონ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები დისკრიმინაციული ნიშნების იდენტიფიცირების მიზნით და, ყველა შესაძლო შემთხვევაში, დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენა მიიჩნიონ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

2. საქართველოს პროკურატურას

- პროკურატურამ სათანადოდ უნდა შეაფასოს არსებული გარემოებები და მოითხოვოს შესაბამისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიება, რომელიც იქნება მსხვერპლის უსაფრთხოების გარანტი და უზრუნველყოფს მათ დაცვას ხელახალი ვიქტიმიზაციისგან;
- ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურამ უნდა უზრუნ-

ველყოს დანაშაულის დაკვალიფიცირება მისი სიმძიმის შესაბამისად და გენდერული ხედვის გათვალისწინებით, რათა ბრალის დადასტურების შემთხვევაში, დამნაშავეს განესაზღვროს მისი ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელი;

- ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურამ ყველა შესაძლო საშუალებით უნდა გამოიკვლიოს, ხომ არ მოხდა დანაშაულის ჩადენა გენდერთან დაკავშირებული ან სხვა შეუწყნარებლობის მოტივით და, დისკრიმინაციის შემთხვევაში, სსკ-ის შესაბამის მუხლთან ერთად, გამოიყენოს 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტიც.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს ძალადობის რისკების შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საფრთხის დროულად განჭვრეტასა და შესაბამისი ზომების ეფექტურად დაგეგმვას. შესაძლებელია, აღნიშნული განისაზღვროს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულება, ესპანეთის, ჩეხეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად.